

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე. **შასი განცხადებები:** ქრისტიანთა ემით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—3 კაპ., ჩვეულებრივის ტიპოგრაფიით—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასამუშაო გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

**რედაქცია:** სოფოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის ხსენებით, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის ხსენებით, № 8.

**ხელის-მოწმარ** მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типограф. ВЪ редакцію газ. „Дროება“.

**გაზეთის შასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

გუზინდელი ნომერი ჩვენის გაზეთისა არ გამოსულა ისეთის მიზეზისა გამო, რომელიც არც რედაქციასა და არც ცენზურს მიეწმინდა.

## ამ დეკემბრის 15-დამ „დროების“ რედაქცია გადავიდა სერბიების ქუჩაზე, ქალაქის გაბეობის გვერდით, ივ. ამირაგოვის ხსენებით № 8.

მოგვალ 1878 წელს გაზეთი

### „დროება“

გამოვა იმავი პროგრამითა და მიმართულებით, როგორც დღემდე გამოდიოდა სოლემ.

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-დღიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ

მოგვალ წელსაც „დროება“ მუდამ დღე გამოვა,

გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

**ხელის-მოწმარ**

მთელის წილი—„მიიღება დროების“ რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის ხსენებით).

ბარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типограф. ВЪ Редакцію „Дროება“.

**შასი გაზეთისა**

მთელის წლისა . . . . .	8 მან.	„ კაპ.
მქვის თვისა . . . . .	4 „	50 „
ოთხის თვისა . . . . .	3 „	„

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება მომავლის წლიდამ გაზეთის დაბარება. უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწვლებსა და აგენტებს: სმადრი ფული გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იმხმეს გამოგზავნილი; თუ არ თავის აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უფულოთ გაზეთს არავის არ გაუგზავნის.

## ტელეგრაფები

**ბრძოლის ველიდამ**

(ოფიციალური)

**ყარსი, 17 დეკემბერს.** 8 დეკემბერს ჰასან-ძალედამ სოფ. ძიულისაკენ გაგზავნილი იყო ღენ-მაიორი ლორის-მელიქოვი ერთი დივიზიონის დრაგუნებითა და ორი პოლკი ყაზახებით; ეს ჯარი ხნისძალემდინ მივიდა, საილამაც ადგილობრივი მცხოვრებლები გამოეგებნენ და ჩააბარეს ქალაქი და ამ მაზრის ყველა

სოფლები, რიცხვით 150-მდინ. ჩვენებს დიდ-ძალი ჭურაქი და სურსათი ჩაუყარდა ხელში. ამ მაზრაში ჩვენი მთავრობა წესდება.

**ფოთი, 19 დეკემბერს.** მქვის ხომალდისაგან შემდგარი ოსმალთა ესკადრა ნიკოლავესკისაკენ (შეკვეთილისაკენ) მიდის; ორი ამ ხომალდთაგანი მიუახლოვდა ზღვის ნაპირს და ზარბაზნები დაუშინა.

ხუთი ხომალდი ოსმალთაგან მივიდა მოლთაქის მახლობლად, გა-

ჩერდა და ნაპირისაკენ ზარბაზნის სროლა დაიწყო. მრთი ხომალდი შეკვეთილთან მოჩანს, სადაც ამას გარდა 20 დიდი ნავია ოსმალებისა.

**ბოგოტი, 13 დეკემბერს.** (ოფიციალური) ჩვენი დასავლეთის პტრიადის (ბურკოს) მოწინავე ჯარმა დიდის გაჭირებით, საშინელს სიცივეში, თოვლში და ბურუსში, გადაიარა ბალკანის გადასავალი და დაჭირა ამ მთების გზა პრაბაშონალსა და სოფიას შუა; ცხენოსანი ჯარი კი დადგა სოფიის მოსესზე; რადგან აქ ჩვენები უეცრად დაესწნენ მტერს, ამან ვერ შეიძაგრა ეს გზა.

ამ გადასავლის დროს ჩვენის მხრით მხოლოდ ხუთი კაცია დაჭრილი.

თუ რამდენათ ძნელი უნდა ყოფილიყო ამ გზაზე სიარული, იქილამ ჩანს, რომ სალდათებს მხრითმი ჰქონდათ დიდი ზარბაზნები და მრაცეში დამ მეგო შეეცამდინ, მსლემნიცამ დინა და შეღლია ეამდინ, გადასვლას ჩვენი ჯარი სამ დღეს მოუწდა.

უფრო დაწერილებული ამბები ჯერ არ მოსულა.

**ბოგოტი, 18 დეკემბერს.** (ოფიციალური) ბრძოლის ველის აღმოსავლეთის მხრით (მეგკვიდრის კორპუსისაკენ) ოსმალოებმა ყველგან უკან დაიწიეს; ალაგ-ალაგ დასტოვეს მხოლოდ მცირეოდენი ჯარი და დაიარაღებული ადგილობრივი მცხოვრებლები, რომელნიც სწვენ სოფლებსა და ტყეში მირბიან.

ჩვენი ჯარი რომ აიასლარში მივიდა, ეს ქალაქი იწვოდა. სარპოს, სუჭლიარსა და ძობირსა და მნიკიოის შუა დაყენებულა დატვირთული ურმები მტრისა, რომელსაც დიდ-ძალი ჯარი იცვავს.

მეჭმეჯე რასთან ჩვენი ცხენოსანი ჯარი თოვლში ჩაფულა. მთის წყლები ჯერ გადიდნენ და მერე ყველა

გაყინა; თითქმის არც ერთი ხილი აღარ არის.

მეჭმეტრის აკენ მომავალ ჩვენ ცხენოსან ატრიადს ამ სოფლიდან თოფები დაუშინეს; მეორე ატრიადს, რომელიც ტვერდიცკის გზით მიდიოდა, სოფ. ძისლასთან შეტაკება მოუხდა ჩერქესის ჯართან, და ამ დროს ჩვენი ორი კაცი დაგვიჭრეს.

7 დეკემბერს სერბიის ჯარმა აიღო წმ. ნიკოლაის ქედი; ამ დროს ამათ სამი კაცი მოუკლეს და 13 დაუჭრეს.

11 დეკემბერს სერბიელები მიადგნენ სოფ. შურუშელის, რომელშიაც იდგა 400 კაცი ნიზამის ჯარი და 2,000 არნაუტი და ზამბუზუყი; განდევნეს აქედამ ეს ჯარები და წაართვეს მტერს ბანაკი, რომელშიაც დახვდნენ თოფები, ტყვიანაწილი და ცხენები.

16 დეკემბერს, რვა საათის ბრძოლის შემდეგ, სერბიის ჯარმა აიღო აკ-პალანკა, მსმალეები ლესკოვაცს იქით გადადევნეს და ამ დროს 3 ზარბაზანი წაართვეს მტერსა.

სერბიელებს ამ დროს დიდი ზარალი არ მისცემიათ, რადგან, ნისლიან ტაროსის გამო, შეუნიშნავათ გადავიდნენ მდ. ნიშაბუ და ამ ნაირად მტრის პოზიციას შემოაუარეს.

### რუმის აზგები

#### აზიის ბრძოლის ველიდან

რუსულ სამხედრო გაზეთში „Русский Инвалид“-ში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„5 დეკემბერს ღენ. კომაროვის (ბრტანის) ატრიადმა დაიჭირა პრდანუჯი, რომელიც ბათუმისა და პრტანის შუა გზაზე მდებარეობს. ეს სოფელი აღრეცეჭირა ჩვენს ჯარებს, მაგრამ მაშინ მიატოვეს; და ახლა ხელ-ახლად დაჭერა იმას მოასწავებს, რომ ჩვენი ჯარები ბათუმისა და ჩოროხის ხეობისაკენ გალაშქრებას აპირებენ.

„რამდენათაც ვიცით, ბათუმში და იმის ახლო-მახლო ალაგებში ოსმალეებს ამ ქამად მხოლოდ 10,000 კაცი ჰყავთ; მაშასადამე პრტანის ატრიადსა და მობულეთის ატრიადს, რომელნიც ერთ დროს მიიწვიან ბათუმისაკენ, ეს ჯარი ვერ დააბრკოლებს; იმათ აბრკოლებს ახლა მხოლოდ, ამ ზამთრის გამო, გზების გაუფუჭება.“

ლონდონის გაზეთს „Daily Telegraph“-ში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა

10 დეკემბერს სტამბოლიდან მიღებული: „არზრუმში მოვიდა აქამბავი, რომ რუსების განზრახვა, როგორც ეტყობა, ის არის, რომ ყოველის მხრით შეუკრან ამ ქალაქს გზა და ამ ნაირად მიმშლით აიღონ. მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს წადილი ვერ აუსრულდება; ზღვის გზა, ტრაპიზონისა, კიდევ ჩვენს ხელშია.

„სტამბოლში მოვიდნენ ინდოეთის მაჰმადიანებისაგან გამოგზავნილი კაცები, რომელთაც დიდ-ძალი ფული და ოქრო და ვერცხლი მოუტანეს მსმალეთის მმართველობას ამ ომში მოსახმარად.

„ქენევის შურნალში“ მოყვანილია შემდეგი დეპეშა 8 დეკემბერს არზრუმში მოსული:

„ამბობენ, რომ შარსა და დევე-ბონის შუა რუსის ჯარებმა ისეთი გზა გააქეთეს, რომ ჯარების გადაყვანა და ზარბაზნებისა და სხვა საომარი მასალების გადატანაც ახლა ადვილად შეუძლიანთ.

„დევე-ბონთან დაბანაკებული რუსები ახლა ჯარებს მოელონ შარსიდან და მერე იმ წამსვე შეუდგებიან არზრუმის ზარბაზნების დაშენას.

„დენერალი ლორის-მელიქოვი დევე-ბონში იყო, დახვდა აქაური ჯარები და ამ ქამად ისევ შარსში დაბრუნდა.“

ბერლინის ერთს გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„შავი ზღვის ნაპირზე დაყენებულ რუსის ჯარებს ბრძანება მოუვიდათ, რომ ბოლგარიაში წასასვლელად მოემზადნენ, რადგან აქეთკენ ოსმალეების აღარ ეშინიანთ.“

რალა თქმა უნდა, რომ ეს ამბავი რწმუნების ღირსი არ არის: მართალია, სოხუმშიდამ გამოიყვანეს მომეტებული ნაწილი ჯარები, მაგრამ ეს ჯარები ზოგი ბათუმისაკენ გაგზავნეს და ზოგიც ალექსანდრპოლისაკენ. ბოლგარიაში კი, რამდენათაც ჩვენ ვიცით, აქედამ ჯარები რუსებს სრულიადაც არ გაუგზავნიათ.

#### მვროპის ბრძოლის ველიდან

მსმალოს მინისტრების რჩევას, როგორც ფრანკტუზ. გაზეთის „Le Temps“-ის სტამბოლელი კორესპონდენტი გვაცნობებს, გადაუწყვეტია, რომ, თუ რუსეთმა მსმალეთის ღირსების დამაცირებელი პირობები მოითხოვა, არ დათანხმდნენ მორიგებაზე, განაგრძონ ბრძოლა და ამისათვის კიდევ 300,000 კაცი მოაგროვონ მსმალეთში.

ვენის გაზეთი „Presse“ ამბობს: „7 დეკემბერს იყო სტამბოლში სამ-

ხედრო რჩევა, რომელზედაც ხონტკარი და ყველა მინისტრებმა დაქარბნენ. რჩევამ გადაწყვიტა, სულეიმან-ფაშას ჰკითხონ— შეუძლიან იმას იმ ჯარით, რომელიც ჰყავს ამ ქამად, დარცვას ბოლგარიის ციხეები და ადრინაპოლი, თ ახალი ჯარები ეჭირება? ამბობენ, ვითამც სულეიმან-ფაშას შემოეთვალოს, რომ გამაგრება ამ ჯართაც შეიძლება, მაგრამ ახალი ჯარების გამოგზავნა მაინც საჭირო არისო.“

უცხო ქვეყნის გაზეთები გვაცნობებენ, რომ შვეიცარს ვიცე-კაროლს (ქედის) 6,000 ახალი ჯარი გამოუგზავნია კიდევ მსმალეთისათვის ამ ომში დასახმარებლად. ამბობენ, რომ სულ 20,000 ვაცს მოეღოს მსმალეთი შვეიცრადამო.

#### მორიგების თაობაზე

ინგლისი ყველაზე უფრო მომეტებულის ლაპარაკობს მსმალეთსა და რუსეთს შუა მორიგების ჩამოგდებაზე.

ამბობენ, რომ ახლა ამ სახელმწიფომ გადაწყვიტა იმედი ამ საქმეში სხვა სახელმწიფოების დახმარებაზე და მართო თვითონ უნდა შეუთვალოს რუსეთსა, რომ ის თანახმა არის იმასა და მსმალეთს შუა შუამავლობა იკისროს.

რუსეთს მზათა აქვს თურმე პასუხი: ის უარს ეტყვის ინგლისს შუამავლობაზე; პირ-და-პირ მსმალეთ მოსთხოვს, თუ ჰსურს, ამ საგანზე მოლაპარაკების დაწყებას.

„ქელის გაზეთში“ იწვრებიან ლონდონიდან, რომ ინგლისი ჯერ ეცდება, რომ ახლავე მოარიგოს მებრძოლნი; მაგრამ თუ ვერ მოახერხა და მოწინააღმდეგეთ განაგრძეს ბრძოლა, მაშინ ის აპირებს სტამბოლი და ბალიპოლი დაიჭიროს თავის ჯარებით და ამნაირად მსმალეთის სატანტო ქალაქში არ შეუშვას რუსები.

— ინგლისის პარლამენტის ერთს დეპუტატს—ჩარლეს—უთქვამს ამ დღეებში ლონდონის ერთს კრებაზე სიტყვა, რომელშიაც, სხვათა შორის, გამოუცხადებია, რომ „მე რუსეთის მტერი არა ვარ, არც ის მსურს, რომ ინგლისსა და ამ სახელმწიფოს შუა ომი ატყდეს; მაგრამ, თუ რუსები სტამბოლის კარებთან არ შეჩერდნენ, ჩემი ჰაზრი ეს არის, რომ მაშინ ინგლისმა უეჭველად უნდა გამოუცხადოს იმას ომი.“

# საქართველო

## დღიური

\* \* \* მასული ორშაბათის სხდომა ჩვენი მაღალის რჩევისა წყნარი, მშვიდობიანი სხდომა იყო. ხმოვანი შეიკრიბნენ სწორეთ იმდენნი, რამდენიც საჭირო იყო სხდომის გახსნისათვის და ილაპარაკეს სხვა-და-სხვა საგნებზე სწორეთ ასე, როგორც უხმო-ხმოვანებს შეეფერება...

რაც სიაში იყო მოხსენებული, ყველა საგნებზე მოილაპარაკეს; მაღალის სახლის გადაკეთებზე, შეშის გაიფხებაზე, აღრესის კანტორის გახსნაზე, ქალაქის ახალი გაზეთის გამოცემაზე და სხვ. და სხვ.

მოილაპარაკეს კი, მაგრამ როგორ? თითქმის ყველა საგნები ან მაღალის ბამგეობას მიანდეს განსახილველად და ან შემდეგის კრებისათვის გადადევს... მს. იყო მოლაპარაკება...

მხოლოდ ერთს საგანზედ თითქო რაღაც ვაღაწვეტილება დასდევს; ეს შეშის გაიფხების თაობაზე. უფ. მანანოვს, აჯამეთის ტყის ერთს მეპატრონეთაგანს წინადადება მიუცია მაღალისათვის, რომ საყენ შეშას 38 მანეთად მოგყიდითო. ამ წინადადებას რჩევა ორივე ხელებით მოეჭიდა; საყენის შეშის მოტანა მაღალეში 12 მანეთად დაჯდება; დავაწყოთ მადანზე და როგორც დავიჯდება, ე. ი. ხუთ თუშნად, გავყიდოთ საყენითო...

მაღალის განათების მოიჯარადრე უფ. ძასუმოვი თხოულობს, რომ გამათავისუფლეთ თქვენის იჯარისაგან, ფანრები არ ვარგა, ნავთი ძვირად ღირს; ხელს არ მადქვეს ეს იჯარაო! ამაზე ერთმა სტქვა: ამ ძასუმოვისთანა ეშმაკი მოიჯარადრე მაღალეს არ ჰყოლია ჯერაო! მეორემ წამოიძახა: ამ ძასუმოვმა მთელი მაღალე გაჰყვლიფაო! მესამე ამბობს: გირაო დავატოვებინოთ და გაუშვათო! მეოთხე ჰყვირის: არ შეიძლება ვამყებო! და სხვ. და სხვ.

ამით გათავდა სხდომა...

\* \* \* ამას წინათაც იყო ჩვენს გაზეთში გამოცხადებული და ახლაც ვამბობთ, რომ დატყვევებულ მსმალოს სალდათებს ერთობ კარგად არ ეპყრობიან ჩვენი სალდათები: გუშინ ჩვენი რედაქციის წინ ურმებით ჩამოატარეს, სხვათა შორის, რამდენიმე ავთმყოფი ტყე. სალდათებმა ქისტის კვრით ჩამოჰყარეს ისინი ზედ რედაქციის წინ და ისე წაიყვანეს ზევით, მგონი, აღვილობრივ შტაბის კანცელარიაში.

იმედია, უმადლესი სამხედრო მთავ

რობა ამ გარემოებას მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას...

\* \* \* შემო-იმერეთიდან გვერენ, რომ გასულ ოქტომბერში ერთს იქაურს მღვდელს მამასახლისი ვაჟულახავს კანცელარიაში და ისე, რომ გულზე დაკიდული ჯაჭვი ათ ნაწყვეტად უქცევია. მამასახლისს უჩივლია; მაგრამ, როგორც ჩვენებური სუსტი კაცის საჩივრის ბოლო მოგვსენებათ, ეს საქმე ჩაუფუშავთ; და ეს ჩაუფუშვა, ჩვენის კორრესპონდენტის სიტყვით, მოკრივე მღვდელს 350 მანეთად დასჯდომია.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**არტაანი, 12 დეკემბერს.** მრი დღე ზედი-ზედ გაჩნდა აქ ცეცხლი: პირველად 10-ში მტკვრის მარცხენა მხარეს, ბაზრის თავში, ცხეს გვერდზედ; დაიწვა ხუთი დუქანი; და გუშინ 11-ში მარჯვენა მხარეს დაიწვა მშვენიერი დიდი სახლი, რომელშიაც იდგნენ აფიცრები და იყო სახელოსნო, რომელიდანაც გაჩნდა ცეცხლი და უბედურობა. მს მონდა 10 საათზე საღამოზედ, როდესაც მცხოვრებლებ აფიცრებს ეძინათ; საწყობებმა ძლივ თავიანთ თავებს უშველეს და გამოცვიდნენ ცეცხლიდან ნახევრათ ჩაცმულნი; სულ იქ მიატარეს თავიანთი სარჩო; ვერ შეეძლოთ გადაერჩინათ რამევერც ფული, ვერც საათები უბისა, ვერც სხვა რამე. ზარალი დიდია. ამ სახლის გვერდზედ ერთ ეზოში იყო თოფის-წამლის და სასროლების სარდაფი, რომელშიაც 300-ზე მეტი ყუთი სასროლებით სავსე იყო; სანამ ეს დიდი სახლი იწოდა, ეს სასროლები გამოზიდეს ქუჩაში დიდი წვალეებით, თორემ თუ ამას წაჰკიდებოდა ცეცხლი, დიდ ზიანს დამართებდა არტაანს, მეტადრე ღოშპიტალს, რომელშიაც 200-ზე მეტი ავთმყოფები წვანან. აქ ეხლა ავთმყოფობა ძალიან გაზვირდა, მეტადრე სახალი, რომელიც უწყალოთ ხოცამს ხალხს. მს ავთმყოფობა ატრიადმა მოიტანა შარსიდგან.

დ. თუხარელოვი

## თშილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

პრევენის მადანზე, წინამძღვაროვის სახლებში. ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დღის 8 საათიდან დღისხვე 10 საათიდან.

მ. რ. შ. ბ. ა. თ. ხ. ექიმი მინკიევიჩი — ხირურგიული ავთმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიციევი — შინაგანი ავთმყოფობისათვის.

სამშაბათს: მერმიშვილი და მარკაროვი — შინაგანი ავთმყოფობისათვის, მამამშვილი — თვლის ექიმი.

მ. თ. შ. ბ. ა. თ. ხ. ექიმი — შინაგანი ავთმყოფობისათვის, მინკიევიჩი — ხირურგიული ავთმყოფობისათვის.

ს. უ. თ. შ. ბ. ა. თ. ხ. ექიმი — შინაგანი ავთმყოფობისათვის და მინკიევიჩი — ხირურგიული ავთმყოფობისათვის.

პ. ა. რ. ა. ს. კ. ე. ვ. ს. ექიმი და მარკაროვი — შინაგანი ავთმყოფობისათვის და მინკიევიჩი — ხირურგიული ავთმყოფობისათვის.

შ. ა. ბ. ა. თ. ხ. ექიმი და მარკაროვი — შინაგანი ავთმყოფობისათვის, მინკიევიჩი — ხირურგიული ავთმყოფობისათვის და მამამშვილი — თვლის ავთმყოფობისათვის.

## კავკასიის საგამო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებენ ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარბები უფასოდ მიიღებენ.

სადღეს ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთად არის.

მიღება ავთმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავთმყოფობისათვის: 6

შოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდან 11-დინ — დოქტორი მანანოვი.

მ. თ. შ. ბ. ა. თ. ხ. ექიმი და შაბათობით 12 საათიდან 1-მდინ — დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დან 12-მდინ — დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავთმყოფობისათვის: ხუთშაბათობით 11 საათიდან 12-მდინ დეკემბრით 10-დან 11-მდინ — დოქტორი უშაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და მანანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება. რომელშიაც საქალებო ავთმყოფობას არჩენენ, ამ განყოფილებას საზოგადო ოთახში ავთმყოფთა უნდა აძლიონ დღეში — 50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში — 1 მან.


## ახალი ტაშა ბირჟის ივმოსჩიკებისა

მაღალის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდან დანიშნა შემდეგი დროებითი ტაქსა:

	ფაქტონის	დროჟკის
პრთი გზა . . . . .	40 კაპ.	25 კაპ.
საათი . . . . .	80 "	55 "
მაღალეიდან — ნავთლოულს	80 "	50 "
— მუშტაიდან —	60 "	45 "
— მუშტ. და უკან 1/2		
საათი გაჩერება 1 მან.	20 "	90 "
რკ. გზიდან ნავთ.— 2	"	1 მან. 50 "
— დამოქნამდინ — 1	" 50 "	1 " — "
— მაღალე. ყველგან 1	"	70 "
რკ. გზამდინ ქალაქ.—	" 80 "	50 "
— ნავთლოულიდან 1	" 50 "	1 " — "
რკინის გზამდინ და უკან — — — 1	" 30 "	90 "

შენიშნება). მრ ფუტამდინ ბოგაქისათვის ივმოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შენიშნება). ნაშუადამევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაქტონის — ერთი გზა — 60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის — 40 კაპ. და საათის — 80 კაპ.



# განსახლება

ჭუთაისში—გალახვანში ისპილება

## სამოსახლო აღბი- ლები ერთად და ცალკე-ცალკე.

უფრო დაწერილებით შეტყობა შეიძლება ჭუთაისში სვიმონ ივანეს ძეს მესხთან და თფილისში ელისაბედ ს. მარჯანოვთან (არსენალის ქუჩაზე, № 56), ბამაზოვის სახლებში.

(5—3)

# გაკვეთილები

ფრანგულენოვანი ენისა. პრაქტიული და თეორიული სწავლა. ბრამატიკა და ლაბარაკი ფრანგულენოვან ენაზე.

მსურველს შეუძლიან მიმართოს ჭუთაისში, უფ. ზაქარია ძანდელაქის სადგომში.

ჩაის მაღაზია

## პ. პ. კოკოვიძისა,

რომელიც იმყოფებოდა ბალაჩინის პროსპექტზე, შიოშვილის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია მარჯანის მაღაზიაში, ტიფლისის სახლებში. პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნთქვანი ჩაი ნებადეს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მგორე ვილდის ვაჭარი **რაქვან ბეღინიძე**

იხეცდება და ამ მოკლე ხანში გამოვა **„ცოლი ვითრო თუ ფული?“** მთხ-მოქმედებიანი კომედია უფ. ალ. ა. თუთაიშისა

# მიცემა სასესიებელი ფული

იმ პირობით რომ მოვალემ მუდამ კვირას ანუ თვეში გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად. უფრო დაწვრილებული პირობების შეტყობა ბუღალკოვსკისთან, მარონცოვის ხიდზე, ზუბალოვის სახლებში, მარშაის ფესხაცკლის მაღაზიაში, მუდამ დღე დღის 9 საათიდან ნაშუადღევს პირველ საათამდინ.

პატივი მაქვს გამოუცხადო თფილისის საზოგადოებას, რომ მე ვაკეთებ საუკეთესო შავსა და ფერად-ფერად **მელანს** და აგრეთვე ვყიდი წაღებისა და ეკიპაჟების ბორბლებისათვის ისეთს **მავს** რომ **ყველა** ვარ

გაატანს. მის ბოლოს მელანს ვყიდი უბოთლოთ 50 კაპ, მისთვის 100 კაპ. მსურველს შეუძლია ამ იმართოს მიმართოს: არწრუნის ქარვასლაში, № 85 სტაჟან ხუდალოვი

# გაკვეთილები რეტიულის და პრაქტიულის ბუნ- ლალტერიისა

ორ-გვარის ანუ იტალიურისა, ბანკის, ფაბრიკის, სავაჭრო, კომისიურის და აგრეთვე **სამა-  
ზრო არითმეტიკისა.**

აღრმის: ლაბორატორიის ქუჩა, ნამესტნიკის ბაღის პირ-და-პირ, პსაროვის სახლებში, № 14.

მასწავლებელს ქალს ჰსურს აიყვანოს ყმაწვილები მოსამზადებლად პირველის და მეორის კლასისათვის.

აღრმის: მთაწმინდის ქუჩა, საბინ--ბუ სიის სახლებში, № 13.

ხელის-მოწერა

ყოველ-დღიურ პოლიტიკურს გაზეთება

# „ОБЗОРЪ“ (მიმოხილვა)

მომავალი 1878 წლის 1 იანვრიდან თფილისში გამოიცემა მუდამ-დღიური დიდი გაზეთი „Обзоръ“.

ხელ-მოწერა უასი გაგზავნიდა და მიტანით, წელიწადში 15 მან; ნახევარ წელიწადში—8 მან; სამ თვეში—4 მან. და 25 კაპ. და თვეში 1 მან. და 50 კაპ. შეიძლება ხუთ-ხუთ მანეთობით შემოტანა ფულისა იანვრის, აპრილისა და აგვისტოს დამდეგა.

ხელის-მოწერა მიიღება ბრიტუროვის წიგნის მაღაზიაში, ძუკიის ხიდთან, პ. ზუბალოვის სახლებში; ქალაქს გარეშე მცხოვრებნი ამ აღრესით დიბარებენ გაზეთს: **Въ Тифлисе. Въ Редакцію издети „Обзоръ“.**

რედაქტორი **ნ. ნიკოლაძე**  
ადმინისტრატორი **პ. ივანილოვი**

რკ. გზა.	დღა.	საღა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	მაზანდა	მან კაპ
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 19 დეკემბ.		თფილისი, 19 ქრისტეშე	
მცხეთა	10 11	6 27	- 68	- 38	ჭუთაისს, შოთს	1	მართი ანეთი ღირს:		ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	220
ზორი	11 58	9 43	2 40	1 23	ზორს, დუშეთს, სიღნაღს	50	ლონდონში 23 პენსი.	78	ფქვილი წითელი	190
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდგნას, მოსკოვს	2	პარიჟში 248 სანტიმი.	62	ქერი ფული	145
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, მარშაისს	2	მსკონტი (სარგებლისფისი)	71	ბამბა მრევნისა, ფული	975
შვირილა	5 49		5 81	3 23	მსხალეთში, შვეიცარიაში	3	ბანკის ბილეთი 5%	95	— ამერიკისა, ფული	10
რიონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	მოგვბიანი (პირველისა ხ.)	227	ბაპენტილი ბამბა ფული.	13
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მოგვბიანი (მეორე სესხი)	220	მატყული თუშური ფთ.	770
ახ.-სენაკი			8 57	4 76	ფოფტა		ბირაოს ფურცლები:		— თარაქმისა ფთ.	460
შოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ჭუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე		წილ. საზნ. ბანკისა.		აბრეშუმის ნუბური ფთ	145
შოთი	9 13				კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ხერსონის ბანკის (5%)	85	ქონი, ფული	560
ახ.-სენაკი			1 18	- 66	მ.ზურ.—პარასკ. და ორშ. ძახეთს—		მოსკოვის (5%)	85	ქონის სანთელი ფული.	770
სამტრედია	11 16		2 61	1 14	სამშ. და შაბ. ბ) ჭუთაისიდან:		აქციები:		სტეფანის სანთელი, ფ.	14
რიონი	12 13		3 41	1 69	თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ		მდგის სავაჭრო ბანკის	177	ხორცი ძროხისა, ლიტ.	72
შვირილა	1 18	ლაშე	3 98	2 21	დღე, კვირას გარდა. მ.ზურგეთს—		შოთი-თფილ. რკინ. გზის		— ცხვრისა, ლიტრა	72
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	ორშ. და პარასკ.		შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	სპირტი, გრადუსი	16
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.	ქაჯაზის და მერკურის	225	შაქარი, ბროც. ფული	920
ზორი	7 5	4 87	3 64	4 9	და სამზღვარ გარეთ;		პირგ. საზღვევ. საზღვ.	745	— ფხვნილი ფული	840
მცხეთა	8 50	6 59	9 8	5 4	ლა წიგნის	4	პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	შავა გრგვალი, ფული	28
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8	მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	წვით ქუფუთისა ფული.	1350
									მქრო 1/3 იმპერიალი.	820